



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შედარებითი კომერციული სამართალი
პროგრამის ხელმძღვანელი	ვახტანგ ზაალიშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, აფილირებული ასოც. პროფესორი ტელ: +995 596555955 ელ-ფოსტა: vzaalishvili@ibsu.edu.ge
სწავლების საფეხური	მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)
სწავლების ენა	ქართული, ინგლისური კომპონენტებით
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის მაგისტრი / Master of Law
დაშვების წინაპირობები	<p>სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე).</p> <p>სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე).</p> <p>ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვთ დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მათი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის ინგლისური, ან აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი.</p>
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარება.</p> <p>კერძოდ, შედარებითი კომერციული სამართლის პროგრამის მიზანია მაგისტრანტს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ მისცეს შედარებითი კომერციული სამართლის და კორპორაციულ სფეროს მართვის იმ მნიშვნელოვანი პრინციპების ცოდნა, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა კომპანიებისათვის და ამ სფეროთი დაინტერესებული

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>მომხმარებლებისთვის;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შესძინოს ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების კერძო სამართლისა და კომერციული სფეროს მომიჯნავე საჯაროსამართლებრივი დისციპლინების თაობაზე; ასევე შეისწავლოს კონტინენტური სამართლის ოჯახებისაგან განსხვავებული სამართლის სიტემის ქვეყნებში მოქმედი ძირითადი სამართლებრივი კატეგორიები; მიიღოს საფუძვლიანი ცოდნა ქართული კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის თაობაზე მისი დახვეწის მიზნით; ➤ შესძინოს ისეთი ცოდნა და გამოცდილება, რაც საშუალებას მისცემს მათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მოახდინოს დაინტერესებულ პირთა კონსულტირება და წარმომადგენლობა კომერციული სამართლის სფეროში, როგორც ეროვნული, ასევე ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად; ➤ გამოუმუშავოს უნარი წარმოადგინოს კომპანია მესამე პირებთან, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საერთაშორისო დონეზე ურთიერთობაში. მარტივად აღმოაჩინოს სამართლებრივი პრობლემები და საქმიანობის სწორი სტრატეგიული დაგეგმვით შეიმუშავოს პოზიცია, მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილებები; ➤ განუვითაროს საერთაშორისოსამართლებრივი პრინციპების კრიტიკული გააზრებისა და დარგობრივი სამართლის კომპლექსური საკითხების გადაწყვეტისას, მათი ადეკვატური გამოყენების უნარი; ➤ უზრუნველყოს სამართლებრივი ანალიზისა და აკადემიური წერითი უნარის განვითარება. მოამზადოს ისინი ქართულ და ინგლისურ ენებზე პროფესიული სამართლებრივი ანალიტიკური ნაშრომის მომზადებისა და წარდგენისათვის, შესძინოს საკუთარი და სხვის მიერ მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტების კრიტიკული შეფასების უნარი; ➤ ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე დადგენილი სტანდარტების მიხედვით შესძინოს პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება კერძო სამართლის მიმართულებით საერთაშორისო ასპარეზზე სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში საქმის წარმოების, საადვოკატო წარმომადგენლობის განხორციელებისას, საპროცესო დოკუმენტების შედგენისას. ასევე, ღრმად გაააზრებინოს საადვოკატო, საპროკურორო და სამოსამართლო პროფესიული ეთიკის პრინციპები ქართული, ევროპული და ამერიკული სტანდარტების შესაბამისად; ➤ შეასწავლოს იურიდიულ პროფესიაში ეთიკის პრინციპები საერთაშორისო აქტების საფუძველზე, აგრეთვე ამ სფეროში ევროპული და ამერიკული გამოცდილება, რომელსაც შეადარებს ქართული კანონმდებლობის და ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>კომისიის პრაქტიკას;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეასწავლოს შედარებითი კერძო სამართლის ძირითადი დარგების - შედარებითი სახელშეკრულებო, შედარებითი საკორპორაციო, შედარებითი საბანკო, შედარებითი სანივთო, კონკურენციის სამართლის, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები ქართული, გერმანული, ფრანგული და ინგლისური, ნაწილობრივ ამერიკულ საერთო სამართლთან შედარების საფუძველზე (ამ სასწავლო კურსების არჩევის შემთხვევაში); ➤ სასწავლო პროცესში იურიდიული, საარბიტრაჟო და მედიაციის კლინიკების ფუნქციონირების უზრუნველყოფის გზით სტუდენტობის პერიოდშივე მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების ხელშეწყობა როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება კურსდამთავრებული შეიძენს:</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორც ქართული ასევე უცხო ქვეყნების კომერციული სამართლის სფეროში მოქმედი პრინციპების ღრმა და სისტემურ ცოდნას, რაც დაეხმარება კურსდამთავრებულს კომერციული სამართლისათვის მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების, მოქმედი მოწესრიგების სიღმისეულად გაანალიზებაში; • შედარებითი კომერციული სამართლის ქვე-დარგების ურთიერთმიმართების შესახებ ცოდნას, რაც მისცემს მას ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების და ცალკეული პრობლემის გააზრებულად გადაჭრის საშუალებას; • როგორც საქართველოს, ასევე, სხვა ქვეყნების მოსამართლეთა, ადვოკატთა საქმიანობის პროფესიული სტანდარტების, პროფესიული ეთიკის კოდექსებისა და მათი ძირითადი პრინციპების შესახებ სიღრმისეულ ცოდნას; • საერთაშორისო კომერციული სამართლის მიმართულებით ევროპის ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის მყარ ცოდნას; • გაცნობიერებული ექნება კომერციულ სამართალში მოქმედი ღირებულებებისა და ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების მეშვეობით; • დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას და წარმომადგენლობას კომერციული სამართლის სფეროში

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>როგორც ეროვნული, ასევე ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;</p> <ul style="list-style-type: none"> • კომპანიის წარმოდგენას და მისი ინტერესების დაცვას მესამე პირებთან როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საერთაშორისო დონეზე; • სასამართლოსთან კომუნიკაციასა და საპროცესო დოკუმენტაციის შედგენას როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენებზე; • საქმის წარმოებას როგორც საერთო სასამართლოებში, ასევე საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში; • იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენას; <p>მას ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. <p>დასკვნის უნარი</p> <p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, არგუმენტირებული მსჯელობისა და საკუთარი თვალსაზრისის დამაჯერებლად ჩამოყალიბების უნარი; • დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; • მიღებული ინფორმაციასა და მონაცემებზე დაყრდნობით ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების უნარი; • მიღებული ინფორმაციის ანალიზის, ანალიზის შედეგების გაცნობისა და კონსტრუქციული კრიტიკის უნარი; • სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი. <p>იგი შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძირითადი სამართლებრივი ტენდენციების საფუძველზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას და დაცვას; • ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა ან მეცნიერული მიდგომების პირობებში ცვლილების ანალიზის და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბებას; • პროფესიული ეთიკის საკითხების კრიტიკულად გააზრებას, კონკრეტული სიტუაციის შეფასებას და კომპეტენტური დასკვნის გაკეთებას შესაბამისი ნორმატიული მასალის გამოყენებითა და დასაბუთებული სამართლებრივი არგუმენტების მითითებით;
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო ბიზნეს გარემოს შეფასებას, სხვადასხვა ქვეყნების მაგალითების შესწავლისა და შედარების საფუძველზე. <p>კომუნიკაციის უნარი კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> კოლეგებთან, ფართო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ პირებთან პროფესიულ დონეზე კომუნიკაციის დამყარების უნარი; პროფესიული საქმიანობისა და კომუნიკაციის ზეპირად და წერილობით, ქართულ და ინგლისურ ენაზე წარმართვის უნარი; პროცესუალური ფორმების დაცვით კომუნიკაციის, საპროცესო დოკუმენტაციის შედგენისა და საპროცესო კომუნიკაციის განხორციელების უნარი შესაბამისი პროფესიული სტანდარტების დაცვით; ინფორმაციის მშობლიურ და ინგლისურ ენებზე მოძიებისა და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი; დებატებში მონაწილეობის, არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირების უნარი; ქართულ და ინგლისურ ენებზე საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გადმოცემის უნარი. <p>სწავლის უნარი კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და სასწავლო პროცესის თავისებურებების უკეთ გაცნობიერების უნარი; უნარი, დამოუკიდებლად განახორციელოს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი და ამის საფუძველზე შეაფასოს საკუთარი აკადემიური პროფილი, მიიღოს გადაწყვეტილება ცოდნის გაღრმავების სამომავლო საჭიროებების შესახებ; უნარი, გაიფართოვოს ცოდნა შედარებითი კომერციული სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, დოქტრინისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით; საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეებისათვის თვალყურის მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. <p>ღირებულებები კურსდამთავრებული შეძლებს:</p>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა ასპარეზზე დანახული ღირებულებებისა და პრობლემების ანალიზის გაკეთებას პრაქტიკოსი იურისტის თვალთახედვით; • ადვოკატების, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირების როლის მართებულად გააზრებას და, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, კლიენტის საუკეთესო ინტერესების დამცველის ეთიკური ვალდებულებების გააზრებას; • კონკურენტულ გარემოში დემოკრატიულ, სოციალურ და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ღირებულებებზე დაფუძნებული პროფესიული ვალდებულებების გაზიარებას; • აკადემიური და პროფესიული პატიოსნების პრინციპების დაცვას და პროფესიული და სოციალური პასუხისმგებლობის აღებას; • იყოს მოწოდებული, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, კეთილსიდისიერების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა; 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა; 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;</p> <p>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.</p> <p>შეფასებათა მინიმალური კომპეტენციის ზღვრები</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:</p> <table border="1" style="width: 100%; text-align: center;"> <thead> <tr> <th style="width: 5%;">№</th> <th style="width: 55%;">კრიტერიუმი</th> <th style="width: 20%;">მაქსიმალური ქულა კრიტერიუმების მიხედვით</th> <th style="width: 20%;">მინიჭებული ქულა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>აქტუალობა</td> <td>10</td> <td></td> </tr> <tr> <td>2</td> <td>კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა</td> <td>10</td> <td></td> </tr> <tr> <td>3</td> <td>კვლევის თეორიული მნიშვნელობა</td> <td>10</td> <td></td> </tr> <tr> <td>4</td> <td>სიახლე</td> <td>10</td> <td></td> </tr> <tr> <td>5</td> <td>საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა</td> <td>15</td> <td></td> </tr> <tr> <td>6</td> <td>კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის /მონაცემების</td> <td>5</td> <td></td> </tr> </tbody> </table>	№	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა კრიტერიუმების მიხედვით	მინიჭებული ქულა	1	აქტუალობა	10		2	კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	10		3	კვლევის თეორიული მნიშვნელობა	10		4	სიახლე	10		5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15		6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის /მონაცემების	5	
№	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა კრიტერიუმების მიხედვით	მინიჭებული ქულა																										
1	აქტუალობა	10																											
2	კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	10																											
3	კვლევის თეორიული მნიშვნელობა	10																											
4	სიახლე	10																											
5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15																											
6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის /მონაცემების	5																											

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		სტატისტიკური დამუშავება, მსჯელობა)		
	7	დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა)	15	
	8	დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა	15	
	9	დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა	10	
	სულ		100	
	საბოლოო შეფასება			
დასაქმების სფერო	<p>კურსდამთავრებულის პროფესიული საქმიანობის სფეროა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი და საერთაშორისო იურიდიული კომპანიები; • არასამთავრობო ორგანიზაციები და ბიზნეს კომპანიები; • საჯარო სამსახურში პროფილის შესაბამისი სტრუქტურები; • საკონსულტაციო (მათ შორის ბიზნეს) კომპანიები; • სხვა ორგანიზაციები, სადაც საჭიროა იურისტის კვალიფიკაციის მქონე კადრი. <p>კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - დოქტორანტურაში, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.</p>			